პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по Физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 73 (1087) | სამშაბათი, 18 ივნისი, 1957 წ. | გამოცემის მე-13 წელი | ფასი 60 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ძალოსნობაში მუშაობა არ უნდა შეფერხდეს

ამიერკავკასიისა და მოლდავეთის რესპუბლიკების სპარტაკიადა კარზე მოგვადგა. ის რამდენიმე თვე, რომელიც ამ დიდი შეჯიბრების დაწყების დღეს გვაშორებს, უნდა ჩატარდეს დაძაბულ წვრთნაში, მზადებაში, რათა ამ ტრადიციულ ღონისძიებაში, როგორც ყოველთვის, ახლაც გამარჯვებული გამოვიდეთ! — ასეთი დევიზით მუშაობენ ახლა რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციები.

ეს მეტად საპასუხისმგებლო პერიოდია. საჭიროა მთელი ძალების დაძაბვა და მობილიზება, რათა რომელიმე უბანი მხედველობიდან არ გამოგვრჩეს, ე. ი. რომელიმე სახეობაში მოუმზადებელი არ წარვსდგეთ სპარტაკიადაზე. ამიტომ, სანამ დროა, უნდა შევამოწმოთ სპარტაკიადის პროგრამაში შემავალი სპორტის სახეობებში წვრთნის მიმდინარეობა, რესპუბლიკის ნაკრების ტექნიკური მაჩვენებლები და საერთოდ, როგორ ვითარდება რესპუბლიკაში სპორტის ესა თუ ის სახეობა.

დავიწყოთ ძალოსნობიდან.

ძალოსნობას რესპუბლიკაში კარგი ტრადიცია აქვს. საქართველოში აღზრდილი სპორტსმენები მრავალჯერ ყოფილან მსოფლიოსა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონები, რეკორდსმენები, მუშაობენ სექციები და გვყავან მაღალკვალიფიციური მწვრთნელები. ამას უნდა დაემატოს ისიც, რომ გასულ წელს დამყარებულ იქნა 22 რესპუბლიკური რეკორდი, ხოლო მიმდინარე წლის ხუთ თვეში 8 რეკორდი. ერთი შეხედვით, თითქოს ყველაფერი რიგზეა და სრულიად თავისუფლად შეგვიძლია ძალოსნების იმედი ვიქონიოთ ამიერკავკასიისა და მოლდავეთის რესპუბლიკების სპარტაკიადაზე.

იმისათვის, რომ სრული სურათი გვქონდეს მდგომარეობაზე, დავიწყოთ შორიდან. ქუთაისი ყოველთვის ამზადებდა მაღალი თანრიგის ძალოსნებს, რომელთა უმრავლესობა რესპუბლიკურ ნაკრებშიც შედიოდა. ახლა უბინაობის გამო სექციამ შეწყვიტა საქმიანობა. ახალციხეში „სპარტაკსა" და „დინამოს" ჰქონდათ კარგი ბაზები და ყველას ახსოვს, თუ რა ძლიერი გუნდით ცხადდებოდა ახალციხე რესპუბლიკურ შეჯიბრებებზე. ორივე ბაზა ძალოსნებს ჩამოართვეს და სხვა დანიშნულებისათვის გამოიყენეს. თელავშიც იყო ერთი საცოდავი ოთახი. საზოგადოებრივი მწვრთნელის საამოვის ხელმძღვანელობით გუნდი მეცადინეობდა, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს, ინვენტართან ერთად ძალოსნები ოთახიდან გამოაბრძანეს. ასეთი მდგომარეობა გვაქვს პერიფერიებში.

ძალოსნობის ძირითადი ბირთვი თბილისშია. აქ არის ბაზები, ჩვენი საუკეთესო მწვრთნელები და მოწინავე სპორტსმენები. ამიტომ თუ მიმდინარე წელს ძალოსნობაში საერთო მაჩვენებელმა იკლო, პასუხი ისევ თბილისელმა ძალოსნებმა და მათმა ხელმძღვანელობამ უნდა აგონ.

გასულ წელს „კოლმეურნემ" საკავშირო შეჯიბრებაზე II ადგილი დაიკავა, მიმდინარე წელს კი — IV. „ბურევესტნიკმა", რომელსაც 1955 წელს I საკავშირო ადგილი ჰქონდა, გასულ წელს ერთი ადგილით უკან გადმოინაცვლა, ხოლო მიმდინარე წელს დიდი ნაბიჯი გააკეთა... უკან — ათეულშიც ვერ შევიდა. „დინამომ" ამას წინათ საკავშირო პირველობაზე გაგზავნა გუნდი. მალე „სასიხარულო" დეპეშა მიიღეს: „შეჯიბრებაზე გამოვედით კარგად, დავიკავეთ მეექვსე ადგილი". გასულ წელს „დინამო" II ადგილზე იყო. ამას წინათ „ენერგიამ" მონაწილეობა მიიღო საკავშირო შეჯიბრებაში. მერე არ იკითხავთ რითი? შეჯიბრების წინ რამდენიმე დღის განმავლობაში „ენერგიის" მუშაკები თბილისში აგროვებდნენ, სესხულობდნენ სპორტსმენებს. როგორც იქნა შეაკოწიწეს გუნდი და მონაწილეობა მიიღეს „ენერგიის" საკავშირო შეჯიბრებაში. ჩამოვიდნენ შეჯიბრებიდან, გუნდიც დაიშალა და მის შემდეგ ძალოსნობის გახსენებაც არ უნდათ „ენერგიის" რესპუბლიკურ საბჭოში. ზუსტად ასე მოიქცა „შახტიორი", „ნეფტიანიკი"... „კოლმეურნემაც" განიზრახა გუნდის გაძლიერება. შემადგენლობაში შეიყვანა რესპუბლიკაში ცნობილი ძალოსანი შივცი, რომელიც მანამდე „დინამოს", ხოლო შემდეგ „სპარტაკის" ინტერესებს იცავდა. სწორედ ამ შივცმა მიიღო 0 და მისი წყალობით გუნდი IV ადგილზე გადავარდა.

ჩვენ გვგონია ძალოსნობაში ასეთი უმსგავსო ფაქტებისა და საერთო მაჩვენებლების დაქვეითების ერთ-ერთი მთავარი მიზეზია მწვრთნელთა შორის არაკოლეგიური დამოკიდებულება. მათი გაუთავებელი კინკლაობა და დავიდარაბა მომაკვდინებლად მოქმედებს სპორტსმენებზე. სწორედ მწვრთნელთა შორის ასეთი ცუდი დამოკიდებულების შედეგია სპორტსმენთა შორის გამეფებული დაბალი დისციპლინა, ადგილი აქვს ყოყოჩობას, ზედმეტ ნერვიულობას, ძალთა შეუფასებლობას, საზოგადოებიდან საზოგადოებაში ხეტიალს.

ამ ბოლო ხანებში ზოგიერთმა მწვრთნელმა მეტად გამომწვევი პოზა მიიღო და საზოგადოების თავმჯდომარეებს კატეგორიულად განუცხადა — ხელფასს თუ მოგვიმატებთ, დავრჩებით, თუ არა და სხვა საზოგადოებაში გადავალთო. ჰოდა გადავიდნენ. გადავიდნენ და სპორტსმენებიც გადაიყვანეს. ასე მოიქცა მწვრთნელი გალოიანი — „ლოკომოტივიდან" „დინამოში" გადავიდა და თავისი აღსაზრდელებიც წაიყვანა, „ლოკომოტივში" კი სექცია დაიშალა. როცა მწვრთნელი არად აგდებს კოლექტივის ინტერესებს, მის აღზრდილს რა პასუხი უნდა მოვთხოვოთ?!

ამრიგად, ჩვენი ჩამორჩენის მთავარი მიზეზი მწვრთნელებისა და სპორტსმენების პოლიტაღმზრდელობითი მუშაობის სისუსტეში უნდა ვეძიოთ. ფიზკულტურის რესპუბლიკურმა კომიტეტმა, სპორტულმა საზოგადოებებმა სწორედ ამ მიმართებით უნდა გააცხოველონ მუშაობა და გაბურებული შანთით ამოკვეთონ ბურჟუაზიული ცხოვრების დღემდე შემორჩენილი გადმონაშთები.

დროა ჩვენმა მწვრთნელებმა პერიფერიებს მიაშურონ და ნუ უცდიან იმ ბედნიერ დღეს, როდესაც მათ ხელში ჩაუვარდებათ „მზამზარეული" სპორტსმენი. საჭიროა ახალი ტალანტები, ძლიერი, მომავლის მქონე ახალგაზრდების მოძებნა მხოლოდ მასობრივი მუშაობის გაშლის გზით შეიძლება. ჩვენ კი ასე ვაკეთებთ: ვაგზავნით შტანგას რაიონში და მერე ვტრაბახობთ, რომ ინვენტარით მოვამარაგეთ ესა თუ ის რაიონი. ჩვენ გვგონია შტანგასთან ერთად კაციც უნდა გავაგზავნოთ, კაცი, რომელიც სექციას ჩამოაყალიბებს, ძალოსნობას შეაყვარებს მასებს და რესპუბლიკას რამდენიმე მაღალი თანრიგის სპორტსმენს შემატებს.

ძალოსნობას აფერხებს ერთი მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორი: მშობლიურ ენაზე სრულებით არ არის მეთოდური ლიტერატურა. ფიზკულტურის რესპუბლიკურმა კომიტეტმა მიმდინარე წელს სახელმძღვანელოთა გამოცემების გეგმა ადრევე შეადგინა, მაგრამ, რატომღაც ძალოსნობაზე იქ ერთი დასახელებაც კი არ იყო შეტანილი.

ძალოსნობა მეტად პოპულარული სახეობაა. ამიტომ ჩვენ ერთი წუთითაც არა გვაქვს უფლება დავუშვათ მისი განვითარების შეფერხება. ყველა, ვინც თავისი არაკოლეგიური, ზერელე მუშაობით ხელს უშლის საერთო საქმეს, ჩამოცილებულ იქნება ძალოსნობიდან.

ალმა-ატა. 16 ივნისი. (ტელეგრაფით ჩვენი სპეც. კორ.). დღეს აქ შედგა მორიგი მატჩი საკავშირო პირველობაზე „ბ" კლასის მესამე ზონის გუნდებს შორის. თამაშობდნენ ადგილობრივი „კაირატი" და თბილისის საოლქო სპორტული კლუბის გუნდი.

მატჩი დიდ ინტერესს იწვევდა, ვინაიდან როგორც ალმა-ატის, ისე თბილისის გუნდები ლიდერთა რიცხვში იმყოფებიან. თბილისელებმა ძლიერად ჩაატარეს შეხვედრა და მოიგეს იგი „მშრალი" ანგარიშით — 4:0.



მოსკოვში, ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა მძლეოსანთა შეჯიბრება. წარმატება მოიპოვა ტრმიელმა სპორტსმენმა ნ. მარიჩევმა, რომელმაც 1.000 მეტრზე რბენაში აჩვენა 2 წუთი და 20,4 წამი. ეს შედეგი ახალი საკავშირო რეკორდია.

* * *

სურათზე: ნ. მარიჩევი ფინიშთან.

ფოტო ლ. დორენსკის და ვ. მასტიუკოვისა.

☆

## ა. ივანოვის მსოფლიო რეკორდი

6 ივნისს, მოსკოვში, ლუჟნიკის ცენტრალურ სტადიონზე სტარტი მიეცა 30.000 მეტრზე რბენას. შეჯიბრების მონაწილეთა შორის იყო 26 წლის სპორტსმენი ალბერტ ივანოვი, რომელმაც გასულ წელს მარათონულ რბენაში საბჭოთა კავშირის პირველობაზე მეორე ადგილი დაიკავა.

საინტერესოა ამ დისტანციაზე მსოფლიო რეკორდის ისტორია. პირველი რეკორდი, რომელიც 1915 წელს იქნა რეგისტრირებული, ფინელ ვ. კიამიარიაინენს ეკუთვნოდა — 1:49.33,9. შემდეგში, მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე, ეს შედეგი არა ერთხელ იქნა გაუმჯობესებული ფინელების — ა. სტენროოსის, ვ. სიპალასა და არგენტინელების — ხ. ცაბალასა და ხ. რიბასის მიერ, იგი დავიდა 1:40.57,6-ზე.

ომის დამთავრების შემდეგ ახალი ძალით გაჩაღდა რეკორდისათვის შტურმი. ჯერ ფინელმა მ. ჰიეტანენმა გააუმჯობესა იგი (1:40.46,4), ხოლო 1949 წელს ამ დისტანციაზე რეკორდის ახალ „მეპატრონედ" პირველად მოგვევლინა საბჭოთა სპორტსმენი ფ. ვანინი (1:39.14,6). 1951 წელს რეკორდმა მეორე საბჭოთა მორბენალთან ი. მოსკაჩენკოვთან გადაინაცვლა (1:36.54,0). მომდევნო გაუმჯობესებამ, რომელიც ე. ზატოპეკს ეკუთვნოდა, ერთბაშად 3,5 წუთი „ჩამოჭრა" ადრინდელ რეკორდს.

ეს ბრწყინვალე მიღწევა გასულ წლამდე ყოველგვარი კორექტივის გარეშე რჩებოდა და მხოლოდ 1956 წლის ოქტომბერში შეძლო 20,2 წამით მისი გაუმჯობესება ფინელმა ა. ვისკარმა (1:35.03,6).

ა. ივანოვმა, თავის მწვრთნელ ფ. ვანინთან ერთად, ზემოაღნიშნული შეჯიბრებისათვის შეიმუშავა რბენის გრაფიკი, რომლის განხორციელებაც შედეგად ის ნახევარი წუთით გააუმჯობესებდა ფინელის მიღწევას. ამისათვის მას ყოველი 5 კილომეტრი არა ნაკლებ 15.45-ში უნდა გაერბინა.

ა. ივანოვმა ზედმიწევნით თანაბრად გაირბინა დისტანცია და მიუხედავად შემუშავებული გრაფიკიდან ოდნავ გადახვევისა აჩვენა დრო, რომელიც 2,6 წამით უკეთესია უკანასკნელ მსოფლიო რეკორდზე — 1:35.01,0.

## საერთაშორისო შეხვედრები

მიმდინარე წელს ჩვენი ქვეყნის ნაკრები გუნდები მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიოს შვიდ და ევროპის რვა ჩემპიონატში. ქალთა კალათბურთის ნაკრები გუნდი გაემგზავრება რიო-დე-ჟანეიროში, სადაც ოქტომბერში დაიწყება მსოფლიოს პირველობის გათამაშება, აგვისტოში ბელგიის ქალაქ გენტეში გაიმართება ველოსიპედისტთა მსოფლიო პირველობის გათამაშება ტრეკსა და ავტომაგისტრალზე(?) რბოლაში. ნოემბერში თეირანში შეიკრიბებიან მსოფლიოს უძლიერესი ძალოსნები.

ისლანდიის დედაქალაქ რეიკიავიკში მოეწყობა მსოფლიო პირველობის გათამაშება სტუდენტ მოჭადრაკეთა შორის. აგვისტოში კანადის ქალაქ ტორონტოში მოჭადრაკე ჭაბუკები გაითამაშებენ მსოფლიო პირველობას.

ამას გარდა ჩატარდება მრავალი ამხანაგური შეხვედრა სპორტის სხვადასხვა სახეობაში. საბჭოთა მძლეოსნები ჩავლენ შვეციაში, საბერძნეთში, იუგოსლავიაში და სხვა ქვეყნებში. აგვისტოში ისინი გაემგზავრებიან ლონდონში, სადაც მოეწყობა დიდი ბრიტანეთისა და სსრ კავშირის მძლეოსნების მატჩი, ხოლო სექტემბერში თავიანთ ოსტატობას აჩვენებენ რუმინეთის უძლიერეს მძლეოსანთა ჩემპიონატში.

სსრ კავშირის წყალბურთელთა ნაკრები გუნდი მიწვეულია ზაგრებში (იუგოსლავია). აქ ჩატარდება ექვსი უძლიერესი კოლექტივის ტურნირი, რომელსაც ევროპის მცირე ჩემპიონატს უწოდებენ. საბჭოთა ნიჩბოსნები ეწვევიან ინგლისს, ჰენლეის რეგატაში მონაწილეობისათვის. განზრახულია მოეწყოს სსრ კავშირისა და თურქეთის თავისუფალ მოჭიდავეთა შეხვედრა.



სურათზე: მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადის აღლუმის მონაწილენი.

ფოტო მ. ზარგარიშვილისა.

# სტარტზეა მომავალი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ს უ რ ა თ ზ ე: მოსწავლეთა სპარტაკიადის მონაწილეთა აღლუმის შემდეგ გამართული მასობრივი ვარჯიშის ერთი მომენტი.



ს უ რ ა თ ზ ე: (ქვევით) მასობრივი ვარჯიშის მონაწილენი ტოვებენ მოედანს.

ფოტოები მ. ზარგარიანისა.

## მძლეოსნობა

მოსწავლეთა სპარტაკიადის პირველი ჩემპიონი გამოვლინდა ბადროს ტყორცნაში. ეს საპატიო წოდება მოიპოვა ო. ზუხბაიამ (აფხაზეთი), რომელმაც ყველაზე შორს 40,22 მეტრზე ტყორცნა ბადრო, აჭარის გუნდის წარმომადგენელი ი. რუხაძე გამოვიდა მეორე ადგილზე — 33,63 მ. ხოლო ლენტეხელმა რ. თეალდიანმა მოიპოვა მესამე ადგილი.

მეტად მცირერიცხოვანი იყო შუბის მტყორცნელ გოგონათა შეჯიბრება. აქ სტარტზე გამოვიდა მხოლოდ ორი მონაწილე — თბილისელი ლ. ხარკოვსკაია და აფხაზეთის გუნდის წარმომადგენელი ა. სიმონიანი. სამაგიეროდ, მრავალრიცხოვანი იყო სიმაღლეზე მხტომელი ვაჟები. შეჯიბრება დაიწყო 150 სანტიმეტრით. როცა თამასა ასწიეს 170 სანტიმეტრზე, მისი დაძლევა მხოლოდ ოთხმა სპორტსმენმა შეძლო. გამარჯვებული გამოვიდა ი. კულუხოვი (სამხრეთ ოსეთი) — 175 სმ. ბორჯომელმა ა. ოგანეზოვმა, რ. ლოხოვმა (სამხრეთ ოსეთი) და სამტრედიელმა ნ. კარტოზიამ გადალახეს 170 სანტიმეტრი, მაგრამ ცდათა ნაკლები რაოდენობის გამო II და III ადგილები შესაბამისად მიეკუთვნათ ა. ოგანეზოვსა და რ. ლოხოვს.

110 მეტრზე თარჯრბენში სტარტზე მხოლოდ ერთი მონაწილე ი. დიაჩკოვი გამოვიდა და უბრძოლველად მოიპოვა ჩემპიონობა — 15,5.

ესტაფეტურ რბენში 4×100-ზე გოგონათა პირველ გარბენში უძლიერესი იყო თბილისის I გუნდი (აბლიაზოვა, პუტინცევა, იანშინა, პშენიჩნაია), რომელმაც დაამყარა გოგონათა რესპუბლიკური რეკორდი — 50,8. თბილისის II გუნდმა, რომელიც მეორე გარბენში მონაწილეობდა, აჩვენა ამ დღის მეორე შედეგი—52,4. მესამე ადგილი დაიკავეს აჭარელმა სპორტსმენებმა. ვაჟთა ესტაფეტურ რბენში 8 გუნდი გამოდიოდა, უძლიერესი იყო თბილისის I კოლექტივი (ლებედევი, ბედუკაძე, ბაბალიკაშვილი, გოგლიძე) — 44,4; 1,3 წამით ჩამორჩა აფხაზეთის კოლექტივი, აჭარის ესტაფეტურელებმა მოიპოვეს მესამე ადგილი.

პირველი დღის შემდეგ გუნდურ ჩათვლაში წინ იყვნენ: I ჯგუფში თბილისის, II ჯგუფში — ბორჯომის მძლეოსნები.

**ო. ივლოშვილი**

## ჩოგბურთი

შეჯიბრება „დინამოს" კორტებზე დაიწყო. მონაწილეობენ თბილისის, ქუთაისის, აფხაზეთისა და აჭარის ნაკრები კოლექტივები.

ყოველ გუნდს გამოყავს 15 მონაწილე, პირველ შეხვედრებში თბილისის კოლექტივმა დიდი ანგარიშით 12:1 დაამარცხა აჭარელი ჩოგბურთელები, ხოლო აფხაზეთის ნაკრებმა — ქუთაისელი სპორტსმენები — 10:4.

უნდა აღინიშნოს, რომ თბილისელ სპორტსმენთა გარდა სხვა მონაწილენი სუსტად არიან მომზადებულნი, ვერ ფლობენ თამაშის ტექნიკას.

დღეს იწყება პირადი პირველობა.

**ვ. ხანდამიშვილი**

სტადიონი თანდათან ივსებოდა ნაირფერ მაისურებში გამოწყობილი ჭაბუკებითა და გოგონებით, რომლებიც ერთმანეთს ეცნობოდნენ, ხალისიანად საუბრობდნენ მომავალ შეჯიბრებაზე, იცინოდნენ. ალბათ დიდხანს გაგრძელდებოდა მათი მხიარულება, საქმეში რომ არ ჩარეულიყო სტადიონის დიქტორის ხმა.

— ყურადღება! მოსწავლეთა IX სპარტაკიადის მონაწილე გუნდები აღლუმისათვის მოეწყეთ სათადარიგო მოედანზე! — გუნდები, რომლებიც საქართველოს თითქმის ყველა რაიონიდან არიან ჩამოსული, ადგილებს იკავებდნენ გასული წლის სპარტაკიადაზე მოპოვებული შედეგების მიხედვით.

18 საათია. გაისმის სამწყობრო მუსიკის ჰანგები. გამოჩნდა მედროშეთა კოლონა... მას მოჰყვება თბილისის, აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, ქუთაისის, გორის, რუსთავის, ჭიათურის, ზესტაფონის, ბორჯომის, ცხაკაიასა და სხვა ქალაქებისა და რაიონების მოსწავლე-სპორტსმენთა კოლონები...

მოდიან ველოსიპედისტები, ჩოგბურთელები, ტანმოვარჯიშეები, მოცურავეები, ფეხბურთელები, ნიჩბოსნები და მსროლელები, მძლეოსნები და წყალში მხტომელები...

მონაწილეთა კოლონა ცენტრალური ტრიბუნის წინ მოეწყო, მაგრამ ცენტრალურ შესავალში არ წყდება მსვლელობა. აღმოსავლეთის ტრიბუნის წინ ადგილებს იკავებს 26 კომისრის სახელობის რაიონის ათასზე მეტი ფიზკულტურელი.

სტადიონი გემოვნებით შეკრულ უზარმაზარ თაიგულს დაემგვანა, რომელშიც უამრავია წითელი, ყვითელი, ცისფერი, თეთრი, ლურჯი და სხვა ფერის ყვავილები — ნორჩი სპორტსმენები, ჩვენი იმედი და მომავალი. ჰაერი გააპო აღლუმის კომანდორის, მთავარი მსაჯის მოადგილის ნ. ხეფაშვილის განკარგულებამ. იგი საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეს, საქართველოს სსრ განათლების მინისტრს გ. ჯიბლაძეს, ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარეს გ. სიხარულიძესა და საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანს თ. ჯანელიძეს მოახსენებს, რომ მოსწავლეთა სპარტაკიადის მონაწილენი თბილისში, სოხუმსა და ბათუმში შეჯიბრებისათვის მზად არიან!

საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე გულთბილად მიესალმა სპარტაკიადის მონაწილეებს, უსურვა წარმატება სწავლასა და სპორტში.

ალმის აღსამართავად ანძისაკენ მიემართებიან სწავლის წარჩინებულნი, საუკეთესო სპორტსმენები ზვიადაძე, მაკალათია, გრომოვი, რუხაძე, ეზუგბაია, ფალავა, ნედელია, აბუანდაძე და მუსაელიანი. გაისმის საქართველოს ჰიმნის დიდებული მელოდიები. მაღალ ანძას სრიალით მიჰყვება საქართველოს სახელმწიფო დროშა...

აღლუმი დამთავრდა. ფეხბურთის მოედანს ეუფლებიან ჭაბუკები. დაიწყო საჩვენებელი გამოსვლები, მალე ჭაბუკთა რიგებს ავსებენ წითელმაისურიანი გოგონები, ისინი ერთად რთულ კომბინაციებს ასრულებენ, რაც მაყურებელთა მოწონებას იმსახურებს. ტანმოვარჯიშეთა რიგებიდან გამოიჭრნენ მოცეკვავენი და უცებ... მოედანზე გამოიხატა ყველასათვის ახლობელი სიტყვა — მშვიდობა!

ზეიმი დამთავრდა. გრძელდება შეხვედრები ფეხბურთსა და მძლეოსნობაში...



## ტანვარჯიში

შეხვედრები დაიწყო II თანრიგის ჭაბუკთა გამოსვლით. ბჯენითი ხტომები მონაწილეთათვის გადაიქცა „ბეწვის ხიდად", რომელზე გავლაც 53 მონაწილიდან მხოლოდ 12-მა შეძლო და ისიც დაბალი შეფასებით. დანარჩენებმა მიიღეს 0 ქულა და დაკარგეს არა მარტო პირველობისათვის ბრძოლის შანსები, არამედ სათანრიგო ნორმატივებთან მიახლოების შესაძლებლობაც.

რაკი ხტომებს გადაურჩა, შემდეგ იარაღებზე თანაბარი სიძლიერით შეასრულა ყველა ვარჯიში ხაშურელმა ნ. ოსმანოვმა და 52,5 ქულით პირველი ადგილი დაიმსახურა. მეორე ადგილი 51,8 ქულით აჭარელ კ. ნაგოევს დარჩა. მას მხოლოდ 0,2 ქულით ჩამორჩა მესამე ადგილზე გამოსული გორელი გ. კობერიძე.

დაძაბული გამოდგა მოზრდილთა სავალდებულო ვარჯიშები ჭაბუკთა შორის. მეოთხე იარაღამდე ლიდერთა ჯგუფში მტკიცედ მიდიოდნენ ფრიდონაშვილი, ხოდიკიანი და სიდამონიძე (სამივე თბილისიდან), მაგრამ მეოთხე იარაღიდან სიდამონიძის ადგილი ლიდერთა ჯგუფში ქუთაისელმა ჩოგოვაძემ დაიკავა, თუმცა ვერც მან შეინარჩუნა ეს წარმატება და მესამე ადგილი თბილისელ რემიზოვს გადააბარა.

თანაბარი სიძლიერით შეასრულა ვარჯიშები და გაიმარჯვა ფრიდონაშვილმა, მეორე ადგილი ხოდიკიანმა შეინარჩუნა.

შეჯიბრება გრძელდება...

**ა. ბარნოვი**

## ფეხბურთი

შეჯიბრებაში მონაწილე გუნდები დაყოფილი არიან ორ ქვეჯგუფად. I ქვეჯგუფში შედიან: ქ. თბილისის I და II, ლანჩხუთის და ზესტაფონის გუნდები. II ქვეჯგუფში იმყოფებიან: აჭარის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთისა და ცხაკაიას ფეხბურთელები. თვითეულ ქვეჯგუფში I და II ადგილებზე გამოსული გუნდები შექმნიან ფინალურ ჯგუფს და ერთმანეთში გაითამაშებენ საპრიზო ადგილებს. ფინალური შეხვედრები დაიწყება 22 ივნისს „დინამოს" სტადიონზე. შეხვედრათა ხანგრძლივობა 70 წუთია. მეკარის გარდა ნებადართულია მინდვრის სამი მოთამაშის შეცვლა.

საინტერესო იყო თბილისის I და II გუნდების შეხვედრა. მსაჯის საფინალო სასტვენისათვის ანგარიში იყო 3:3. ფრედ — 1:1 დამთავრდა ცხაკაიასა და აჭარის ასსრ ფეხბურთელთა ასპარეზობა. ზესტაფონის ნაკრებმა გუნდმა 70-წუთიანი დაძაბული ბრძოლის შემდეგ მინიმალური ანგარიშით—1:0 დაამარცხა ლანჩხუთის ჭაბუკი ფეხბურთელები.

სპარტაკიადის გახსნის ცერემონიალის დამთავრების შემდეგ ცენტრალურ მოედანზე გამოვიდნენ აფხაზეთის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ნორჩი ფეხბურთელები. შეხვედრა დამთავრდა სტალინირელთა გამარჯვებით — 3:0.

**ზ. ქირია**

## ქართული ჭიდაობის სარბიელზე

გურჯაანში ჩატარდა საქართველოს 1957 წლის პირადი პირველობის ზონალური შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში. მონაწილეობდნენ ახმეტის, თელავის, ყვარლისა და გურჯაანის რაიონის მოჭიდავეები.

წონითი კატეგორიების მიხედვით გამარჯვება მოიპოვეს ა. ყიფიანმა, ბ. მაისურაძემ, ვ. ჩიკვილაძემ (სამივე ახმეტიდან), ბ. წიკლაურმა (თელავი), ლ. ბულკაშვილმა (ახმეტა), ა. ერგემიძემ.

დებულების თანახმად შეჯიბრების მეორე ეტაპზე ქვემძიმე და მძიმე წონიდან მონაწილეობას მიიღებენ ზონალურ შეჯიბრებაში I და II ადგილებზე გამოსული მოჭიდავეები. ეს უფლება მოიპოვეს ქვემძიმე წონიდან ახმეტელმა ა. სვიაკაურმა და ყვარლელმა ი. უძილაურმა. მძიმე წონაში — ახმეტელმა ა. ჯავახიშვილმა და კ. სამიტაშვილმა (ყვარელი).

**თ. გოგიაშვილი**

• • •

რუსთავში ჩატარდა ქართულ ჭიდაობაში საქართველოს პირადი პირველობის ზონალური შეჯიბრება. წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს შ. თავითულაშვილმა, ო. შაქარაშვილმა (საგარეჯო), ვ. გაროზიშვილმა (რუსთავი), შ. საგინაშვილმა, ნ. ნაჩხატიშვილმა, ა. ზურაბაულმა, დ. ზითანიშვილმა (საგარეჯო), მძიმე წონაში პირველობა არ გათამაშებულა, ვინაიდან წარმოდგენილი იყო მხოლოდ ერთი მოჭიდავე რუსთავიდან (ხაჩიძე). პირველ ადგილზე გამოსული მოჭიდავეები მონაწილეობას მიიღებენ შეჯიბრების მეორე ეტაპში, რომელიც ჩატარდება 23 ივნისს საგარეჯოში.

**ი. ტერუნოვი,**

რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

## ამი ახალი რეკორდი

მიმდინარე წელს თბილისის პი-
ად-გუნდური პირველობა მძლე-
ანობაში ფიზკულტურის კოლექტი-
ბს შორის ტარდება ორ ტურად.
ას წინათ ჩატარდა შეჯიბრების
რველი ტური, რომელშიც მონა-
ლეობა მიიღეს ოთხ ჯგუფად და-
ფილმა ძირეული კოლექტივების
კრებმა გუნდებმა. პირველ ჯგუფ-
(უმაღლესი სასწავლებლები) გაი-
რჯვა ფიზკულტურის ინსტიტუტ-
, მეორე ჯგუფში — ინდუსტრიულ-
ტექნიკუმის კოლექტივმა, მესამე
გუფში — თბილისის ოფიცერთა
ხლის ძირეულმა კოლექტივმა და
ოთხე ჯგუფში—26 კომისრის სა-
ლობის ქარხნის გუნდმა.

უნდა აღინიშნოს, რომ შეჯიბრე-
ში მონაწილეობას თავი აარიდა
რიგერთმა დიდმა ფიზკულტურუ-
ლმა კოლექტივმა. საკმარისია ით-
ას, რომ გუნდები არ გამოუყვა-
ათ სამედიცინო, პუშკინის სახე-
ობის პედაგოგიურ, რკინიგზის
ტრანსპორტის ინჟინერთა, უცხო
ათა, ზოოვეტერინალურ და თეატ-
ლურ ინსტიტუტებს, სამხატვრო
ადემიას, მეტალურგიულ. კავშირ-
ბმულობის ტექნიკუმებსა და სხვა
ზკულტურულ ორგანიზაციებს.

შეჯიბრების პროცესში ნაჩვენები
ა რამდენიმე მაღალი შედეგი ნ.
ლონდაძემ („სპარტაკი") სამი რეს-
ბლიკური რეკორდი გააუმჯობესა
ორტულ სიარულში 3 კილომეტრზე
13.33,8, 5 კილომეტრზე—23.00,0,
კილომეტრზე — 1:13.41,8 მანვე
მოიპოვა პირველი ადგილი 20 კილო-
ტრზე სიარულშიც. სასიხარულო
ო ახალგაზრდა სპრინტერის ე.
რმთაძის (აბრეშუმის საქსოვი ფაბ-
კა) წარმატება 100 მეტრზე რბენა-
. მან მოიპოვა პირველი ადგილი
დეგით 10,9 (გარბენში 10,7) და
ან ჩამოიტოვა ისეთი სერიოზული
წინააღმდეგენი, როგორებიც იყვნენ
კლიუევი, ზ. ჯარამხელი, თურმა-
ძე და სხვები. სახელმწიფო უნი-
ვერსიტეტის სტუდენტის რ. ქვაჩახი-
ს სახით მძლეოსნებს შეემატათ მე-
ტ ნიჭიერი და მზარდი სპორტსმე-
. მართალია, მან გამორბენით სიგ-
ზე ხტომაში მხოლოდ მეორე ადგი-
მოიპოვა (შედეგით 6,62), მაგრამ
ა ჩაუთვლელი ნახტომი 7 მეტრსა
10 სანტიმეტრს აღემატებოდა. ათ-
ლში მონაწილეობის პროცესში ქვა-
ხიძემ სიმაღლეზე ხტომაში დაძლია
სანტიმეტრი. პოლიტექნიკური
ტიტუტის წარმომადგენელმა გ.
ნჩიძემ თარჯრბენში 110 მეტრზე
ენა 15,2 წამი და დაიკავა პირველი
ილი.

**ლ. გიორგაძე,**
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.



★

**დ. ციმაკურიძე,**
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

★

ჩემპიონატის დაწყებას ჯერ კიდევ რამდენიმე დღე აკლდა, დრო როგორმე უნდა გაგვეყვანა ისე, რომ მომავალ შეხვედრებზე ნაკლები გვეფიქრა. შეჯიბრების დღეებში ისედაც ბევრი საზრუნავი ექნებოდათ ბიჭებს, ახლა კი მთავარი იყო მათი მორალური და ფიზიკური დასვენება.

ვარჯიშს ვატარებდით მხოლოდ ერთ საათს და ისიც ადრე დილით, რომ შემდეგ მთელი დღე თავისუფალი ვყოფილიყავით. თვით წვრთნაც ძალზე მსუბუქი და დაუძაბველი იყო. უფრო ხშირად იგი კალათბურთის თამაშით იფარგლებოდა. ვერიდებოდით ცნობისმოყვარე მაყურებლების თავშეყრას და ამიტომაც წვრთნის საათები დილისათვის გადავიტანეთ, მაგრამ როგორც გამოირკვა, არცერთი ჩვენი ვარჯიში, უფრო სწორად კალათბურთის თამაში, ცნობისმოყვარეთა გარეშე არ ჩატარებულა.

სტამბოლის ერთ-ერთი უძველესი ლიცეის (იგი 1873 წელს დაარსებულა) სპორტული მოედანი მასპინძლებმა ჩვენს განკარგულებაში გამოჰყვეს. ადგილი და მოედანი შესანიშნავი იყო, მაგრამ ცნობისმოყვარეთა თვალებისაგან დამალვა აქ შეუძლებელი იყო. შეძლებული ხალხის შვილები (ლიცეიში მხოლოდ მათ იღებდნენ, რადგან დიდ ფულად გადასახადს რიგითი სტამბოლელი, რა თქმა უნდა, ვერ შეიტანდა) გათენებისთანავე ალყას არტყამდნენ მოედნის მისადგომებს და მოთმინებით გვიცდიდნენ. არაჩვეულებრივ სიამოვნებას გვრიდა მათ ჩვენი თამაში და უნდა გამოვტყდეთ, იგი მართლაც სახალისო იყო. მოჭიდავეების (განსაკუთრებით ზედა წონითი კატეგორიების) მოუქნელი მოძრაობები, კალათში არაზუსტი სროლები და ამავე დროს არაჩვეულებრივად მონდომებული თამაში მაყურებელთა საერთო აღტაცებისა და ყიჟილ-ხივილის საბაბი იყო. მართლაც, შეუძლებელი იყო გულგრილად გეცქირათ იმისათვის, თუ როგორ მოსდევდა ვეებერთელა ვიხრისტიუკი კურდღელივით სწრაფ ცალქალამანიძეს, როგორ უძვრებოდა ეს უკანასკნელი ვიხრისტიუკს ფეხებშუა და შემდეგ აგდებდა ბურთს კალათში.

იყო მომენტები, როდესაც კალათბურთის თამაში უეცრად კარგავდა

გაგრძელება. იხ. „ლელო" № 72.

თავის სახეს და ფეხბურთს ემსგავსებოდა. ამას თავისი მიზეზი ჰქონდა და იგი მოჭიდავეთა იმ ჯგუფიდან მოდიოდა, რომელიც „ფეხბურთელებისაგან" შედგებოდა უმთავრესად. აქ მთავარი „ძირგამომთხრელი" ვახტანგ ბალავაძე იყო, თუმცა არც სხვები უარობდნენ ფეხბურთის თამაშს. მაგრამ ფეხბურთისათვის საჭირო მოედანი ლიცეიში არ იყო და შემდეგ, კალათბურთის თამაში უფრო მშვიდობიანად მთავრდებოდა ჩვენთან, ვიდრე ფეხბურთისა.

თავისუფალი დროის უფრო რაციონალურად გამოყენების მიზნით შევადგინეთ ორპუნქტიანი რეჟიმი: ჯერ ერთი — უნდა გამოვხმაურებოდით მრავალრიცხოვან მიპატიჟებას და შემდეგ დაგვეთვალიერებინა ქალაქი ისე, რომ არ დაგვრჩენოდა არაფერი უნახავი.

პირველად დავაკმაყოფილეთ თურქეთის უხუცეს მოჭიდავეთა კლუბის მიწვევა და მთელი დელეგაციით ვესტუმრეთ ამ საპატიო კლუბს. კლუბის წევრებმა, ერთ დროს სახელგანთქმულმა მოჭიდავეებმა, გულღიად მიგვიღეს, თბილი, საქმიანი საუბარი გაგვიბეს. გამოირკვა, რომ ამ კლუბში გაერთიანებულია მხოლოდ უხუცესი მოჭიდავეები (ახალგაზრდებს ცალკე აქვთ თავიანთი კლუბი). ერთგვარ უხერხულობას ქმნის ის გარემოება, რომ კლუბის წევრები თურქეთის სხვადასხვა ქალაქში ცხოვრობენ და ხშირად ვერ იკრიბებიან. მაგრამ არის რამდენიმე ტრადიციული დღე, როდესაც კლუბის ყველა წევრი ვალდებულია ჩამოვიდეს სტამბოლში და მონაწილეობა მიიღოს საკლუბო ზეიმში. გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს ავადმყოფობა ან გარდაცვალება. გაცდენის ყველა სხვა შემთხვევა ნიშნავს კლუბის წევრობიდან გარიცხვას. უხუცესთა კლუბის ყველა წევრი მტკიცედ იცავს შინაგანაწესს და რეგულარულად (თვიში ყოველთვიურად) იხდის გადასახადს. შეგროვილი თანხა ხმარდება კლუბის ინტერესებს, ოფიციალურ ბანკეტებს და ა. შ.

ვარდების პარკი სტამბოლის მშვენებაა. იგი ბოსფორამდეა გადაჭიმული. ვერაფერი ვერ იფარავს ადამიანს მზის მცხუნვარე სხივებისაგან ისე კარგად, როგორც ვარდების ასწლოვანი, ცადაზიდული ხეები. აი ჩვენ ამ პარკში ვართ პარკის ზოოლოგიური კუთხის მეპატრონის მიპატიჟებით, საკმარისად ახლოს ვნახეთ ტროპიკების ის მკვიდრნი, რომელთა შესახებ მხოლოდ გაგონილი გვქონდა.

ჭაღარა მეპატრონემ სიურპრიზი ბოლოსათვის შემოინახა. მივუახლოვდით ერთ მომცრო აუზს, რომელშიც რამდენიმე ნიანგი ნებივრობდა. ნიანგი დღეს არავისთვის არ არის საოცრება. მას ყველა ზოოპარკში შეხვდებით. იგი თბილისშიც გვინახავს, მაგრამ მეპატრონის ეშმაკური გამოხედვა და ღიმილი გვაძლევდა საბაბს გვეფიქრა, რომ რაღაც უცნაური სანახაობის მოწმე უნდა გავმხდარიყავით. ჩვენი მასპინძელი ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა აუზს, ჩაჰყო ხელი შიგ და ამოიყვანა მეტრნახევრიანი ნიანგი, შემდეგ იგი ალუშფოთებლად ჩაიკრა გულში და დაუწყო კოცნა. ნიანგი, როგორც ჩანს, მიუხვდა პატრონს კეთილ გრძნობას, დააღო ვეებერთელა ხახა და რამდენჯერმე მიუალერსა სახეზე მოხუცს. მასპინძელი ამით არ დაკმაყოფილებულა, მან კიდევ ერთხელ დააღებინა პირი ცხოველს და თავისი პატარა ჭაღარა თავი ჩაუდო შიგ ხახაში. ეს კი მეტისმეტი იყო.

თავისებური ქალაქია სტამბოლი და ხალხიც ამ ქალაქში თავისებურია. როგორც აზიის კარიბჭესთან გაშენებულს, მას ბევრი რამ აქვს აღმოსავლური, მაგრამ იგი თავისი მდებარეობით ევროპასაც ემიჯნება, ამიტომ სტამბოლში არის ქალაქის ევროპული ნახევარიც. მაოფლიოს ორი კონტინენტის ასეთი ბუნებრივი შერწყმა რასაკვირველია, დღეს ასვამს ქალაქის ელფერსაც და მისი ხალხის ზნეჩვეულებასაც. აღმოსავლური ეგზოტიკის მოყვარულებისათვის აქ საკმაოდ დიდი ასპარეზია გადაშლილი. ის ევროპელი არ თვლის თავს სტამბოლში ნამყოფად, თუ არ ინახულა აღმოსავლური სტამბოლი. სანახავი კი აქ მართლაც ბევრია: გოგირდის აბანოები, ვიწრო დახლართული ქუჩები, აღმოსავლური ტრანსპორტის ძირითადი სახეები — ამქლემები და სახედრები, ქუჩაში მოვაჭრეები და ყველაფერ ამის გვირგვინია სტამბოლის ცნობილი ბაზარი.

რამდენჯერმე მოგვიხდა აღმოსავლურ სტამბოლში ყოფნა და ვერც ერთხელ ვერ ავუარეთ გვერდი მას გულგრილად. რა თქმა უნდა, ვერ აუვლი, როდესაც ერთ კილომეტრზე გცემს ყარსული მწვადის სუნი, რომელსაც პირდაპირ ქუჩაში წვავენ. ეს იყო მირიან ცალქალამანიძის სუსტი ადგილი. როგორც კი მწვადის სუნის მოქმედების აფეროში აღმოვჩნდებოდით, მირიანი იწყებდა უცნაურად ცქმუტვას, რაც იმის ნიშანი იყო, რომ წვადმა თავისი გამანადგურებელი მოქმედება დაიწყო ამხანაგზე. ასეთ დროს გამოსავალი ერთი გვქონდა, მივსულიყავით „ბოროტმოქმედების" ადგილზე და პირდაპირ მაყალიდან მიგვეერთვა იგი.

რიჟრაჟიდან ქუჩებში იწყება ხილის, მაწვნის, ბოსტნეულის გამყიდველთა ხმამაღალი ყვირილი, რაც ჩამოსულ ტურისტს სიმფონიად ეჩვენება, ხოლო ადგილობრივნი მოთმინებიდან გამოყავს. რა თქმა უნდა, აღმოსავლურ სტამბოლს ბევრი სილამაზე აქვს, მაგრამ ადგილობრივებს სრულებით არ აწყობთ ეს ეგზოტიკა. სტამბოლის ეს ნაწილი არის ქალაქის ნამდვილი სახე და იგი ბევრ შემთხვევაში სევდის მომგვრელია. ქუჩებში წამდაუწუმ გხვდებათ ქალი, რომელსაც გაჭირვებით მიაქვს სადღაც თავზედადგმული ვეებერთელა ტვირთი, ხოლო ზურგზე დამაგრებულ ჩანთაში უზის შვილი. იგი აკეთებს ათობით კილომეტრს იმისათვის, რომ დღის ბოლოს ლუკმა პურით გაუმასპინძლდეს თავის პატარას და თუ ბედმა გაუღიმა — თავისთავსაც. ასეთ დროს, რასაკვირველია, არ ფიქრობენ ეგზოტიკაზე და მის მშვენებაზე.

მაგრამ არის მეორე სტამბოლიც, მდიდრების, ფულიანი ხალხის სტამბოლი. იგი არაფრით განსხვავდება ევროპული ტიპის ქალაქის მდიდრული კვარტალებისაგან. აქ არის რესტორნები, კაფეები, ბარები, კინოთეატრები. დაჰქრიან გაკრიალებული ავტომანქანები. ქალაქის ამ ნაწილს არა აქვს საზრუნავი, გარდა ერთისა, როგორ გაატაროს ხვალინდელი დღე. ყოველივე ამის ცენტრია ამერიკული სასტუმრო „ჰილტონი", თავისი აურაცხელი რესტორნებითა და კაფეებით.

უკანასკნელ წლებში „ამერიკულმა ცხოვრებამ" დამღუპველად იმოქმედა თურქეთის ახალგაზრდობაზე. ამერიკული პროპაგანდისა და განსაკუთრებით განგსტერული კინოფილმების ზეგავლენით, ახალგაზრდობას განუვითარდა მხეცური ინსტინქტები (რასაკვირველია, ახალგაზრდობის იმ ნაწილს, რომელიც ადვილად მოექცა იმპორტის გავლენის ქვეშ) და მისი სამწუხარო შედეგები ყოველ ნაბიჯზე იგრძნობა. ჩვენი სტამბოლში ყოფნის დროს მოხდა ტრაგიკული შემთხვევა, რასაც მოჰყვა 6 წლის ბავშვის მოკვლა. ამან სტამბოლის საზოგადოებრიობაში ენით გამოუთქმელი აღშფოთება გამოიწვია და ხალხის მოთხოვნით დამნაშავე ჩამოხრჩობილ იქნა მთელი ხალხის თვალწინ. გაზეთები ბევრს წერდნენ ამ შემთხვევაზე.

• • •

დადგა შეჯიბრების დღე. აჟიოტაჟმა თავის კულმინაციას მიაღწია. მოვაჭრეებმა დახურეს მაღაზიები, რესტორნები, დროებით შეწყდა მუშაობა წვრილ საწარმოებსა და სახელოსნოებში. „მეტხათ ფაშას" სტადიონს ზღვა ხალხი მოაწყდა.

(გაგრძელება იქნება)

## ოსტატთა სავალდებულო ვარჯიშები

ვიწყებთ ბეჭდვას 1958 წლის
ფლიო პირველობის სავალდებუ-
ო ვარჯიშებისას, რომლებიც მიმ-
ნარე წლის ივლისში ტანვარჯი-
ს საერთაშორისო ფედერაციის
ნგრესის დამტკიცების შემდეგ,
ლაში შევა როგორც სპორტული
ნვარჯიშის ოსტატთა ერთიანი სა-
ლდებულო საკლასიფიკაციო პრო-
მმა საბჭოთა კავშირში.

მიმდინარე წლის ყველა დიდი მასშტაბის შეჯიბრება — რესპუბლიკის ხუთი უძლიერესი კოლექტივის შეჯიბრება — თბილისში (7-12 სექტემბერს), ამიერკავკასიის რესპუბლიკებისა და მოლდავეთის სსრ სპარტაკიადა ბაქოში (13-19 ოქტომბერს), საბჭოთა კავშირის პირად-გუნდური პირველობა მოსკოვში (12-18 ნოემბერს) და საქართველოს პირად-გუნდური პირველობა (21-25 დეკემბერს) — ამ სავალდებულო პროგრამით ჩატარდება.



### ვაჟები

**თავისუფალი ვარჯიში**

1. წიხრკალებით ზემკლავი, ცერებზე აწევა და მარჯვხით ხაბიჯი, გასმკლავი, მკლავების და მარცხენა ფეხის აქნევით მარჯვენა ფეხზე წახტომა და მარცხენის ნაბიჯით წინ მართყირამალა, ზემკლავი წინნები.
2. ბუქნვა ოდნავი წინხნექით, წინმკლავი, წახტომი და მკლავების უკან აქნევით უკან მართყირამალა, მეორე უკან მართყირამალა და
3. ზეტანის ზამბარისებური გაზნექით წოლელა ბჯენი.
4. მარჯვენაზე ბუქნბჯენი და მარცხენის მოვლა, მარჯვნივ ზურგისაკენ ბრუნით მარჯვენაზე ადგომა, მარცხენა განზე, განმკლავი, მარცხენით განზე დაბიჯით და
5. გვერდითი ყირამალით ფეხშლილი დგომა (შეუჩერებლად), ზემკლავი.
6. მარცხნივ დახრით გვერდითი წონასწორობა მარცხენა ფეხზე, მარჯვენა განზე, მარჯვენის შიგრკალით მიმკლავი, მარცხენის ზემკლავი (ყოვნა)
7. მარცხნივ გვერდითი ყირამალით ხელყირა (ყოვნა)
8. წინკოტრიალით გამართული ფეხებით ადგომა, წინრკალებით ზემკლავი,
9. მარჯვნით ნაბიჯი, განმკლავი, მკლავების და მარცხენა ფეხის წინ აქნევით და მარჯვენაზე ახტომით მარჯვნივ ზურგისაკენ ბრუნით, მიმკლავი,
10. წონასწორობა მარჯვენაზე, განმკლავი, ქვენები (ყოვნა),
11. წინდახრით ხელყირა (ყოვნა).
12. მარჯვნივ ბრუნი ხელყირაში, მკლავების მოხვრით ხელებზე და თავზე ზეშვერილი ბჯენი და ამართადგომა, ზემკლავი, წინნები.
13. წინდახრით გამართული ფეხებით დაჯდომა და უკან კოტრიალი ხელყირის გადაცილებით. ხელებიდან ფეხებზე დახტომით ნახევარბუქნვა, წინრკალებით ზემკლავი ცალფეხზე ადგილზე ახტომით, მეორე ფეხი წინ და
14. განმკლავით მიმკლავი, ორი ან სამი გარბენის ნაბიჯი და ტყუბი ფეხის არეკნით ხელფეხდაკრებით წინ მალაყით ნახევარბუქნვა, გარე წინმკლავი და წინ ნახტომით გაზნექვა და წინ კოტრიალით ნახევარბუქნვა, უკუმკლავი, ადგილზე ახტომით და ზემკლავით გაზნექვა, მიმკლავით ძირითადი დგომა.

**შენიშვნა:** ვარჯიში შეიძლება შესრულდეს მეორე მხარეს ნაწილობრივად, გარდა 4-11 ნაწილებისა, რომელიც შეიძლება შესრულდეს მეორე მხარეს მხოლოდ მთლიანად.

**ბჯენითი ხტომა**

იარაღი — ტაიჭი სიგრძეზე (ტაიჭის სიმაღლე 130 სმ ბოგით) — კეცა, ტაიჭის შორ ნაწილზე არეკნით და ჰორიზონტალურ სიბრტყეზე მაღლა წინასწარი ზეაქნევით.

ვილი ბრედელი

# კეტჩის კარავში



დიდხანს ვყოყმანობდი, შევსულიყავი თუ არა. ზღვა ხალხმა და ბილეთების მაღალმა ფასმა გამაკვირვა. ნელ-ნელა ვუახლოვდებოდი სალაროს და თან ვფიქრობდი, რამდენი გამემეტებინა ფული. ბოლოს, გადავწყვიტე მეყიდა საშუალო ფასიანი ბილეთი ისე, რომ რინგიდან ძალიან შორს არ ვყოფილიყავი. ჩემი რიგიც მოვიდა და ვთხოვე მოეცათ ჩემთვის სამმარკიანი ბილეთი.

— პირველი თუ მეორე რიგი? — შემეკითხა მოლარე ქალი.

— სამმარკიანი ადგილი, — გავუმეორე მე.

— დიახ, მესმის! პირველი თუ მეორე რიგი?

— პირდაპირ რინგთან?

— რასაკვირველია!

— მაშინ პირველი რიგი!

მე გადავიხადე სამი მარკა და გამოვართვი ბილეთი, თან ქურდულად შევხედე სალაროსთან გამოკიდებულ დაფას, რომელზეც ეწერა: შესასვლელი ბილეთების ფასი 1 მარკიდან 12 მარკამდე.

ნეტავი რა ადგილებზე დასხდებოდა ის ხალხი, რომლებსაც 12 მარკა ჰქონდათ გადახდილი. ვერც ის გავიგე, რატომ ვიჯექი მარტო მე პირველ რიგში და რატომ იყო სულ ცარიელი მეორე და მესამე რიგი. ზევით, ბოლო რიგებში კი, ხალხის ტევა არ იყო.

ვიყიდე პროგრამა — „კეტჩი, დიდი პოპულარული თამაში გერმანიაში, 1954 წელს, ჰამბურგში" და დავიწყე კითხვა:

„კეტჩი თავის შემოსავალზეა დამყარებული. ის კეტჩერი, რომელიც მეტ ოსტატობას გამოიჩენს და ტურნირში გამარჯვებული გამოვა, სამართლიანად ღებულობს უფრო დიდ გასამრჯელოს, ვიდრე ის, ვისაც ნაკლები წარმატება ჰქონდა. ასე რომ, თვითეული კეტჩერი იბრძვის ლუკმა-პურისათვის, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. გამარჯვებით მაღლდება კეტჩერის ფასი, დამარცხებით კი — ეცემა. მას ალმერთებენ, ან სულ ივიწყებენ. აქვე ხდება ვაჭრობა თამაშის მსურველებსა და იმათ შორის, რომლებიც იღებენ მოთამაშეებს. ასე რომ, თვითეული კეტჩერი ცდილობს ბრძოლაში მთელი თავისი შესაძლებლობა გამოიყენოს, რათა, რაც მთავარია, თავისი ფასი აამაღლოს, ხოლო შემდეგ თავისი ღირსება დაიცვას".

ჩემს გვერდით დაჯდა კაცი გაოფლიანებული და გაწითლებული სახით. მაშინვე მოიხადა ქუდი და ცხვირსახოცით დაიწყო პირისახისა და კისრის წმენდა.

— დასწყევლოს ღმერთმა, ბედი არა მქონია! — ჩაიდუდღუნა მან თავისთვის, — რამდენი ვირბინე და მაინც...

— ბედი? — შევეკითხე მე თანაგრძნობით.

— სხვა ადგილი რომ ვერ ვიშოვნე!

— როგორ! არ მოგწონთ ეს ადგილი?

სხვანაირად გადმომხედა, კიდევ ერთხელ მოისვა ცხვირსახოცი კეფაზე და ამოიხვნეშა.

— გააჩნია, ვის როგორ მოსწონს!

მხოლოდ ორნი ვისხედით პირველ რიგში. საოცარია!.. გავიფიქრე და გულდაგულ განვაგრძე პროგრამის კითხვა:

„აკრძალულია: მუშტით ძლიერი დარტყმის მიყენება, განზრახ თვალების დაკაწრვა, თითების გადამტვრევა, წელს ქვემოთ ხელის წავლება. დაშვებულია: მოწინააღმდეგეზე დახტომა, რინგიდან გადმოგდება, ცემა".

მთელი კარავი გაივსო ხალხით, მაგრამ პირველი რიგები მაინც ცარიელი იყო.

— უკაცრავად, ვერ მეტყვით სად უნდა იყოს 10 და 12-მარკიანი ადგილები? — შევეკითხე ჩემს მეზობელს, რომელმაც თითი შუა ადგილებისაკენ გაიშვირა.

— ნუთუ ამდენი უბედური შემთხვევა ხდება ამ ერთ კარავში? ძალიან მომზადებულები კი ჩანან, — პასუხს პროგრამაში დავუწყე ძებნა.

„დამარცხებულად ითვლება ის კეტჩერი, რომელიც რინგზე დაეცემა და 10 წამში არ ადგება საბრძოლო მზადყოფნაში, რინგიდან გადაგდების შემდეგ 10 წამში არ დაუბრუნდება სარბიელს, ანდა, რომელსაც მოწინააღმდეგე 3 წამს გააჩერებს ორივე ბეჭზე".

— მე ვურგერზე[1]. ვდებ ნიძლავს.

— ვისზე? ვურგერზე?

— პირველად ხართ აქ?

— დიახ!

— აჰაა!

მაყურებლებს მოუსვენრობა დაეტყოთ. გაისმა ტაშის ცემა, ყვირილი, სიცილი, ქალების წივილი. მონაწილენი გამოვიდნენ რინგზე. ისინი იყვნენ გოლიათი, კუნთებიანი, მსუქანი, ლიპიანი და თავმოტვლეპილი კაცები. გვერდში მუჯლუგუნი მკრეს.

— ვურგერი! — მიჩურჩულა მეზობელმა.

პატარა თავიანმა აწოწილმა კაცმა, ბანჯგვლიანი მკერდითა და გორილასავით წინ ჩამოყრილი ხელებით, ზლაზვნით გაიარა რინგზე.

— ეს ალრჩობს?!

— ცოტა ხანს მოიცადეთ.. ვისაც ეგ ქეჩოში წაავლებს ხელს, სულსაც გააფრთხობინებს.

ორის გარდა, რომელთაც თავთავიანთი ადგილები დაიკავეს კუთხეში, ყველამ დატოვა რინგი. ერთმა მელანქოლიურად გახედა კარავს, მეორემ კი მოაჯირთან ჩაბუქნა. მსაჯმა გამოაცხადა:

— ლინკოლნი — აშშ, კასტილოს წინააღმდეგ — ესპანეთი!... თავისუფალი ბრძოლა!

ესპანელმა თავის მოწინააღმდეგეს მხარით რამდენჯერმე ამოარტყა ნიკაპში. მეხუთე დარტყმაზე ამერიკელი ხალხის ღრიანცელში ზურგით დაენარცხა იატაკს. ესპანელი მაშინვე დაახტა ზედ, დაავლო მარცხენა ფეხს ხელი და გადაუგრიხა. ამერიკელმა დაიკვნესა და თავი ასწია. მწარე ტკივილმა სახე საცოდავად დაუმანჭა.

სამი ათასი კაცი ღმუილითა და ყვირილით წამოხტა ფეხზე. ძირს გაშხლართულმა ამერიკელმა ფართოდ დააღო პირი. ტუჩებზე დორბლი გადმოუვიდა. შემდეგ დახუჭა თვალები, ჩაქინდრა თავი, მაგრამ მაშინვე ასწია და გააფთრებით მიმოიხედა.

ხალხი კი ღმუოდა, იცინოდა და ახალ-ახალი შეძახილებით აღიზიანებდა კეტჩერს:

— მიდი, ესპანელო! ამოუგდე ფეხი!

— დასცხე! დასცხე! დასცხე!

ამერიკელი კი უმწეოდ ფართხალებდა და იმანჭებოდა.

შესვენების ზარმა იხსნა ის. ამერიკელი მძიმედ წამოდგა და კოჭლობით ძლივს მიაღწია თავის კუთხეს. ხალხი კი მის დაცინვასა და მასხრად აგდებას განაგრძობდა. ის ნაღრძობ ფეხს იზელდა და თან ქვეშიდან გახედავდა ხოლმე თავის მოწინააღმდეგეს. ერთი წუთის შემდეგ იგი გამარჯვებული იყო.

ვერ მოასწრეს მათ ერთმანეთის პირისპირ დადგომა, რომ ამერიკელი ელვის სისწრაფით ეცა მოწინააღმდეგეს, რასაც არავინ ელოდა, შემოაჭდო ხელები, მაღლა ასწია და რაც ძალი და ღონე ჰქონდა ძირს დაანარცხა. 10 წამზე მეტ ხანს ეგდო ესპანელი ძირს და მთელი ტანით ცახცახებდა.

მაგრამ გამარჯვებულს კი არ უკრავდა ხალხი ტაშს, არამედ ესპანელს, რომელიც გრეხით წამოდგა და წელში მოხრილი გავიდა. ამერიკელს უსტვენდნენ და უყვიროდნენ. მან კი წარბშეუხრელად და ამაყად გაიარა რინგი, გაძვრა მოაჯირში და გულგრილად დატოვა მაყურებე-



ლთა დარბაზი. ამ საღამოსაც წარმატებით უკუაგდო მან ის სახიფათო შემოტევა, რომელიც მის ლუკმაპურს ემუქრებოდა. მისთვის მთავარი იყო გასამრჯელო და არა შემთხვევით თავმოყრილი ბრბოს აზრი.

ერთი მაღალი, მხარბეჭიანი, ბანჯგვლიანი იტალიელი უკვე მეორე რაუნდში ტომარასავით გადმოეკიდა მოაჯირს, სადაც მისმა მოწინააღმდეგე არგენტინელმა მოიმწყვდია და მსაჯს რომ არ შეეწყვიტა ბრძოლა, აღრჩობდა. იმ დროს, როცა სამხრეთ ამერიკელი სიხარულით ხტოდა და გარშემო უვლიდა რინგს, მოაჯირზე დაკიდებული იტალიელი ხრიალებდა.

ერთმა სუსტი აგებულების ფრანგმა ხელით ისე დასცხო კისერში ინგლისელს, რომელიც ყველა კეტჩერისაგან თავისი გოლიათური აგებულებით გამოირჩეოდა, რომ ის მკვდარივით დაენარცხა ძირს. ინგლისელი უგრძნობლად გაათრიეს რინგიდან.

იმ საღამოს სენსაცია, იყო მისურიბილისა (სამხრეთი აშშ) და ვურგერის (ჩრდილო აშშ) შეხვედრა. მათ დანახვაზე ხალხი გადაირია, ყურის წამღებად უსტვენდა, ფეხებს აბრაგუნებდა, საბავშვო საყვირებზე უკრავდა. ვურგერმა მრავალმნიშვნელოვნად გაშალა თავისი გრძელი ხელები.

მსაჯმა მოწინააღმდეგეთა წარმოდგენა დააპირა, მაგრამ უცებ მოხუცი ქალის გამყინავი ხმა გაისმა:

— გამარჯვებულს ერთი ბოთლი შამპანური!

ტაში დაუკრეს. ბოხი, ჩახლეჩილი ხმით ვიღაცამ დაიძახა:

— ჰა, შეგერგოს, ვურგერ!

კეტჩერი, რომელსაც ვურგერს ეძახდნენ, მაღალი, გაძვალტყავებული, ნაღვლიანი და კეთილი გამომეტყველებისა იყო. მისური-ბილი, პირიქით — ჩაფსკვნილი, ოდნავ მსუქანიც, თვითკმაყოფილი სახით.

ჩემი მეზობელი მეტად ღელავდა და ერთ ადგილას ვერ ჩერდებოდა. პროგრამა, რომელიც ხელში ეჭირა, დაჭმუჭნა და ნაკუწ-ნაკუწად აქცია.

მოხრილი ვურგერი წინ გაშვეოილი გრძელი ხელებით გარშემო უტრიალებდა და ასე ეპარებოდა მისური-ბილს. ისიც ფხიზლად იყო და როცა ვურგერის ხელები სახიფათო სიახლოვეს აღწევდნენ, სწრაფად იხევდა უკან, გვერდით სხლტებოდა. მთელი კარავი გაყუჩდა. შემაძრწუნებელი იყო ეს მდუმარებაც. სუნთქვისა და კვნესის გარდა არაფერი ისმოდა.

— ურჩხულია... ნამდვილი ურჩხული... — თვალი არ მოუცილებია რინგისათვის ისე მომიბრუნდა გვერდით მჯდომი — დამიჯერეთ საძაგელი, სახიფათო ბიჭია!

— რატომ! — შევეპასუხე მე ღიმილით. — ეტყობა მგრძნობიარე, ოჯახის მზრუნველი მამა უნდა იყოს.

უცებ ვურგერი ახტა და ორივე ფეხი მძლავრად ჩასცხო მისური-ბილის მუცელში და მოაჯირს მიანარცხა. თვითონაც წაიქცა, მაგრამ მაშინვე სწრაფად წამოხტა. მისი მოწინააღმდეგე ტკივილებისაგან იგრიხებოდა და თან უფრო მეტი სიფრთხილით გაურბოდა ვურგერის ხელებს. მაგრამ ვურგერმა მაინც დაიჭირა თავისი მსხვერპლი და მაგრად ჩაბღუჯა. მას გულიდან სიხარულის ძახილი აღმოხდა. მძლავრად შემოაჭდო კისერზე ხელები. მისური-ბილის თავი ვურგერის ბანჯგვლიან მკერდს მიესვენა, მაგრამ მოულოდნელად ისევ სწრაფად აიქნია თავი და ვურგერს ნიკაპში ამოარტყა. ვურგერი ფართოდ გაშლილ, ხელებით მოაჯირს მიენარცხა. ტაშის გრიალმა დაფარა მთელი კარავი.

— გემრიელია თუ არა, ვურგერ! — გაისმა გახარებული ხმა.

ვურგერი ეტყობოდა, გამწარდა. მისმა დაღალულმა სახემ საშინლად მრისხანე გამომეტყველება მიიღო. ის ისევ დაედევნა თავის მოწინააღმდეგეს გრძელი ხელების სავსავით. მისური-ბილი გაურბოდა, უსხლტებოდა, იხრებოდა მარჯვნივ, მარცხნივ, ვერც დარტყმას ბედავდა და ვერც იერიშის მიტანას.

საზარელი ყვირილი არ წყდებოდა.

ვურგერმა გაიმეორა თავისი ხერხი, სწვდა მისური-ბილის კისერში და ძირს დაანარცხა თავისი მსხვერპლი. საზარლად გაისმა მისი გამარჯვებული ხარხარი. მაყურებლები კვნესოდნენ, თითქოს ვურგერის სასიკვდილო ხელი მათ უჭერდა კისერში.

მისური-ბილი უმწეოდ ფართხალებდა ვურგერის კლანჭებში. ის ხრიალებდა, ცდილობდა თავი გაეთავისუფლებინა, მაგრამ უშედეგოდ.

შემდეგ ყველაფერი ელვის სისწრაფით მოხდა. მისური-ბილი წაიქცა და თან ვურგერიც წააქცია. იატაკზე მან ორივე ხელები ნიკაპში წაავლო და მაღლა ასწია, სანამ ვურგერ- მის კისერს ხელი არ შეუშვა.

მაყურებლთა [illegible] აღგზნე- ბული მოწინააღმდეგე [illegible] ერთმანე- გააფთრებით [illegible] თავს. მისუ- რი-ბილის აღარ ეშინოდა ვურგე- ის მიიწევდა მისკენ და განუწყვე- ლივ არტყამდა ხან სახეში, გვერ- ბში, ნიკაპში, მოაჯირს ანარცხე- და მთელი ამ ცემა-ტყეპის გან- ლობაში არ წყდებოდა ხალხის ყვი- ილი, ღრიალი, ბრაგუნი. ბოლ- ვურგერი ძლივს გაიმართა წელ- შეირხა, თითქოს ყველა დარტყმ- მოცილება სურსო და სცადა თავის- ხერხის გამეორება. მაგრამ ამჯერ- მისური-ბილიმ უკან არ დაიხია, პ- რიქით, მიახტა, სტაცა ხელი და რი- ნგიდან გადაისროლა.

საშინელმა ღრიანცელმა დაფა- ხის სკამების მსხვრევის ხმა. მის- რი-ბილი ღონეშემოყრილი იდ- და დაჰყურებდა იმ საჩუქარს, რო- მელიც მან ხალხს უთავაზა. კარ- კარებთან მდგარი მედიცინის და- გამოიქცნენ. როცა ვურგერი ას- რინგზე აცილდა, ხალხმა სიცი- დააყარა. ეს პარტია მან წააგო. წამი დაჰყო რინგს იქით. მა- პირველი დამარცხებას თან გა- ამ წლის დიდი შემოსავალიც! მას დროს ისეთი სახე ჰქონდა, თით- ეს-ესაა სიბრაზისა და გაცრუებუ- იმედებისაგან დაიღმუვლებსო.

მისური-ბილი ყოველმხრივ უკ- და თავს მქუხარე ტაშს. თავჩაღ- ნულმა ვურგერმა ხელების ქნე- დატოვა რინგი.

— დიდებული იყო! — ყვირ- ჩემს გვერდით კაცი და გააფთ- ბული უკრავდა ტაშს. მას მთე- სახე უბრწყინავდა. შემდეგ მხრ- დამარტყა ხელი და იქითკენ გაშ- და, სადაც ვურგერი დაეცა. საკ- ვილაცა მიჰყავდათ. ერთ ქალ- რომელიც ორ კაცს გაჰყავდა გა- ვლელი კარებისაკენ, სახეზე სის- თქრიალით გადმოსდიოდა.

— ბედი გვქონია. ადვილი შეს- ლებელი იყო ჩვენ დაგვეცე- თავზე... ხა-ხა-ხა!...

ცუდად ვიგრძენი თავი. მივხ- რაშიც იყო საქმე.

— მითხარით... რატომ... ამ- მაა ეს ადგილები ასე იაფფასია-

ჩემმა მეზობელმა გულიანად გ- დაიხარხარა და მიპასუხა:

— ღმერთო ჩემო, თქვენ უკ- ყველაფერი შეგიმჩნევიათ და მ- ასე სწრაფად... ხა-ხა-ხა!.. იმ- დაზღვეული იქნებით. ხა-ხა-ხა!..

მე წამოვდექი.

— სად მიდიხართ? რა დროს მ- მთავრებაა! — მომძახა — შე კაცო, სპორტის თუ არა- გესმოდა, აქ რაღას მოდიოდი!

გერმანულიდან თარგმ-

მ. კოდუ-

---

1. „ვურგერ" — მახრჩობელა (გერ.).

---

# ექსპერტთა კრება-

ამას წინათ ლოს-ანჯელოსში (აშშ) შედგა მძლეოსნობის მწვრთნელთა, სპეციალისტთა და ექსპერტთა კრება, რომელთაც პასუხი გასცეს მრავალ შეკითხვას.

იქნება თუ არა მიმდინარე წელს 100 იარდი 9,2 წამში დაფარული? დადებითად უპასუხა 18 კაცმა, უარყოფითად — 14 (მსოფლიო რეკორდი 100 იარდზე რბენაში 9.3 წამია). რეკორდის მოხსნის პრეტენდენტად დაასახელეს ბობ მოროუ, დეივ ზიმი და ლემონ კინგი.

შეძლებს თუ არა პერი ობრაიენი წელს გააუმჯობესოს თავისი მსოფლიო რეკორდი (ბირთვის კვრაში — 19 მ 25 სმ)? შეკითხვას დადებითი პასუხი გასცა 7-მა სპეციალისტმა, ხოლო უარყოფითი — 24-მა.

1957 წელს გაუმჯობესდება თუ არა ჩარლზ დიუმასის მსოფლიო რეკორდი სიმაღლეზე ხტომაში — 2 მ 15 სმ? მიღებულ იქნა 8 დადებითი და 23 უარყოფითი პასუხი.

გაუმჯობესდება თუ არა მიმდინარე წელს მსოფლიო რეკორდი სიგრძეზე ხტომაში, რომელიც ჯესი ოუენსს ეკუთვნის (ზუსტი გაზომვით — 26 ფუტი და 8 1/4 დიუმი — 813,43 სმ), დადებითი პასუხი გასცა მხოლოდ 5-მა სპეციალისტმა, უ- ყოფითი კი 25-მა.

იქნება თუ არა 1957 წელს ყარებულ ბადროს ტყორცნაში მ- ფლიო რეკორდი ვაქთა შო- (იგი ეკუთვნის ფორჩუნ გორდიე- 59,28 მ). მხოლოდ ერთმა გასცა დადებითი პასუხი, დანარჩენებმა უ- ყოფითად უპასუხეს ამ შეკითხვა-

გაუმჯობესდება თუ არა წელ- ნიელსენის მსოფლიო რეკორდი ბის ტყორცნაში? პასუხი ასეთი — 6 „კი", 23 „არა".

შეიძლება თუ არა წელს დამ- დეს ახალი რეკორდი ჰოკით ხტ- ში? ამ კითხვაზე პასუხი გასცა ლა 32 სპეციალისტმა, მათ შ- დადებითად 25-მა და უარყოფ- 7-მა. კანდიდატებად დასახელ- იქნენ ბობ რიჩარდსი და ბობ ტოვსკი.

როგორც ცნობილია, ეს პროგ- ზი გამართლდა, ა. წ. 27 აპრი- ოლიმპიური ვერცხლის მედ- მფლობელმა ბობ გუტოვსკიმ გა- ჯობესა მსოფლიო რეკორდი სანტიმეტრით.

რედაქტორი ი. უგულავა

1

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო".

ტელეფონები: რედაქტორისა — 3-89-62, პ-მგ. მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომშვების — 3-38-25.

საქართველოს კპ ც. კ-ის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი". თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 0225